# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №21/1

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 7 დეკემბერი 2011 წ

ერთის მხრივ სსიპ. საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "ერისიონი " (შემდგომში „შემკვეთი") მისი გენერალური მენეჯერის ოთარ ბლუაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ტექნოჰაუს" (შემდგომში „შემსრულებელი") მისი დირექტორი მეჰმედ მელექი დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკულების დამდები მხარეების რეკვიზიტები.*

*შემკვეთი:* სსიპ. საქ.ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლი "ერისიონი " მისამართი: რუსთაველის გამზ.№16.

*შემსრულებელი:* შ.პ.ს „ტექნოჰაუს" მისამართი. ქ.თბილისი, პეკინის გამზირი № 3

## *ხელშეკრულების საგანი*

2.1 „შემსრულებელი" ვალდებულებას იღებს 2011 წლის 7 დეკემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით გაუწიოს შემკვეთს შემდეგი მომსახურება:

2.1.1 სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით დამტკიცებული წესებითა და ფორმებით უზრუნველყოს:

1. ელექტრო გამათბობელი BKI 2800 DE ღირებულებით 172 ლარი მომარაგება.
2. ელექტრო ჩაიდანი 59 ლარი.

სულ 231 ლარი.

2.1.2. ხ.ე. გამარტივებული შესყიდვის წესის. [illegible] III მ. I პ. „ს" ქვეპ. ქვეპ. საფუძველზე.

## 3. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორება.

3.1 გაწეული მომსახურება და მიწოდებული საქონლი აღირიცხება კოდით CVP-30100000

3.2 „შემკვეთი" უხდის „შემსრულებელს" ხელშეკრულების 2.2 მუხლით გათვალისწინებულ საფასურს ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე, საქონლის მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღეში.

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „შემკვეთი" ვადლებულია:

4.1.1 შესყიდული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

4.2 „შემსრულებელი" ვალდებულია:

4.2.1 შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დროულად, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.

8.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ პირგასამტეხლოს ოდენობა აღემატება სახელშეკრულებო ღირებულების 5%;

8.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. მათგან ერთი რჩება შემსყიდველთან და ერთი გადაეცემა მიმწოდებელს.

### მუხლი 11. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1 ხელშეკრულების დადების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტი.

მხარეთა რეკვიზიტები:

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

| | |
|---|---|
| "ანსამბლი" | "შემსრულებელი" |
| ანსამბლი "ერისიონი" | შპს "ტექნოჰაუს" |
| მის: რუსთაველის გამზ. №16 | მის: ქ. თბილისი პეკინის №3 |
| ს.კ. 203827485 | ს.კ. 205277608 |
| ტელ: 99-84-09 | ტელ: 8322 47 61 48 |
| სს "პროკრედიტბანკი" | სს "საქართველოს ბანკი" |
| ცენტრალური ფილიალი | ცენტრალური ფილიალი |
| ა/ა GE57 PC02 9360 0100 0089 54 | ა/ა 230089000 |
| ო. ბლუაშვილი | მ. მელუქ |